ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების

შესახებ № 02-08/1

ქ. თბილისი „9“ „02“ 2011წ.

## 1. ხელშეკრულების საერთო პირობები

1 .1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.

1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.

1.2.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.

1.2.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში – „შემსყიდველი“) – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.2.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, აწვდის საქონელს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.2.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

## 2. ხელშეკრულების მხარეები

2.1 ერთი მხრივ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის გიორგი ჩახნაშვილის სახით (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორე მხრივ, ***შპს "რომპეტროლ საქართველო",*** მისი გენერალური დირექტორის ალექსანდრ ალბინის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 9 თებერვლის №69 ბრძანების გათვალისწინებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აპარატის დაფინანსების ფარგლებში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს 15000 ლიტრი საავტომობილო საწვავი "პრემიუმის" და 1000 ლიტრი "ევროდიზელის" შესყიდვა.

3. საქონლის სპეციფიკაცია უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

## 4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **33250,00** (ოცდაცამეტი ათას ორას ორმოცდაათი) ლარს.

## 6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 ტალონური სისტემით საწვავის მიწოდება მოხდება შემდეგი წესით: შემსყიდველის შეკვეთიდან არაუმეტეს ერთი სამუშაო დღის ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია დაამზადოს და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე გადასცეს შემსყიდველს (მის მიერ უფლებამოსილ პირს) მოთხოვნილი რაოდენობის საწვავის ტალონები ლიტრობრივ ერთეულებში (10 ან 20 ლიტრიანი ტალონის ნომინალით). ტალონების შემსყიდველისათვის გადაცემის შემდეგ, მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის შემსყიდველზე, ამასთან უკვე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება დაბრუნებას ან სხვა სახეობის საწვავის ტალონებზე გადაცვლას. ყოველ ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს.

- ტალონის ნომერი;
- საქონლის სახეობა;
- საქონლის რაოდენობა.

საქონლის გაცემა წარმოებს შემსყიდველის მიერ დამოწმებული ტალონების საფუძველზე, რისთვისაც შემსყიდველმა ტალონის უკანა მხარეზე უნდა დასვას თავისი ბეჭედი. დაუმოწმებელ ტალონზე საქონელი მის დამოწმებამდე არ გაიცემა.

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის კუთვნილი და სათანადო წესით დამოწმებული ტალონის ან/და შესაბამისი ინფორმაციის მქონე პლასტიკური ბარათის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისთანავე გამართოს ავტომანქანა და/ან ჭურჭელი ტალონში აღნიშნული ან/და პლასტიკურ ბარათზე ჩატვირთული საქონლის ხარისხითა და რაოდენობით. საწვავის გაცემა ხდება სათანადო წესით დამოწმებული ტალონის ან პლასტიკური ბარათის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე. შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია პლასტიკურ ბარათზე კონკრეტული ავტომანქანის სახელმწიფო ნომრის და სერიის გამოსახვა. ასეთი ბარათის ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენისას, საწვავის ჩასხმა მოხდება მხოლოდ ბარათზე აღნიშნული სახელმწიფო ნომრის და სერიის მქონე ავტომანქანის ავზში, ხოლო ნებისმიერი სახის დამატებით ტევადობებში (ჭურჭელში) ან სხვა ავტომანქანის ავზში საწვავის ჩასხმა ასეთი ბარათის მეშვეობით არ განხორციელდება.

6.3 ავტოგასამართ სადგურზე ტალონების წარმოდგენისთანავე შემსყიდველი ან მისი წარმომადგენელი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ტევადობების ან/და ჭურჭლის წარმოდგენა. ტალონებზე საწვავის გაცემისას ტალონის ნაწილობრივი განაღდება ან/და ხურდის დაბრუნება არ დაიშვება.

6.4 მიმწოდებელი უფლებამოსილია დროებით (არაუმეტეს 1,5 საათისა) შეაჩეროს საწვავის გაცემა ამა თუ იმ ავტოგასამართ სადგურზე საწვავის მიღების დროს და მიღების შემდეგ, რათა უზრუნველყოფილ იქნას პერსონალის და მომხმარებლების უსაფრთხოება და საწვავის სათანადო ხარისხი.

6.5 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე და შესაბამის ფინანსურ დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლება ეძლევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფლებამოსილ წარმომადგენელს.

## 7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1 ანგარიშწორების ვალუტა: ლარი.

7.2 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.

7.3 "შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის (საწვავის) საფასური შემდეგ ვადაში: სპეციფიკური პირობების 6.1 და 6.2 პუნქტების მიხედვით საწვავის ტალონების გადაცემაზე ან/და საწვავის შემსყიდველის სპეციალურ ანგარიშზე ჩარიცხვაზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან

4.2 შესყიდვის ობიექტის ერთეულის ფასები გამოთვლილია C=Rx(P+Z)x(100% + 18%)xD/1000 ფორმულით.
4.3 ერთი ლიტრი "პრემიუმის" ფასი 4.2 პუნქტში მითითებული ფორმულის შესაბამისად შეადგენს 2.08 ლარს, სადაც:

| | |
|---|---|
| ბ) C= ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი ლიტრის ფასი (ლარში); | 2.08 |
| გ) R= წინადადების წარმოდგენის ან ზეპირი ვაჭრობის ჩატარების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში (ცვლადი კომპონენტი); | 1.7798 |
| დ) P= წინადადების წარმოდგენის ან ზეპირი ვაჭრობის ჩატარების დღისათვის არსებული ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი მეტრული ტონის საერთაშორისო ფასი – PLATTS EUROPEAN MARKETSCAN -ის FOB Med (Italy) ბირჟის მონაცემებით (ცვლადი კომპონენტი); | 881.42 |
| ე) Z= ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი; | 449.58 |
| ვ) 18%= დღგ; | 18% |
| ზ) D= წინადადებით წარმოდგენილი ნავთობპროდუქტის (საწვავის) სიმკვრივის მაჩვენებელი. | 0.7441 |

4.4 ერთი ლიტრი "ევროდიზელის" ფასი 4.2 პუნქტში მითითებული ფორმულის შესაბამისად შეადგენს 2.05 ლარს, სადაც:

| | |
|---|---|
| ბ) C= ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი ლიტრის ფასი (ლარში); | 2.05 |
| გ) R= წინადადების წარმოდგენის ან ზეპირი ვაჭრობის ჩატარების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლართან მიმართებაში (ცვლადი კომპონენტი); | 1.7798 |
| დ) P= წინადადების წარმოდგენის ან ზეპირი ვაჭრობის ჩატარების დღისათვის არსებული ნავთობპროდუქტის (საწვავის) ერთი მეტრული ტონის საერთაშორისო ფასი – PLATTS EUROPEAN MARKETSCAN -ის FOB Med (Italy) ბირჟის მონაცემებით (ცვლადი კომპონენტი); | 883.83 |
| ე) Z= ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი; | 284.47 |
| ვ) 18%= დღგ; | 18% |
| ზ) D= წინადადებით წარმოდგენილი ნავთობპროდუქტის (საწვავის) სიმკვრივის მაჩვენებელი. | 0.8355 |

4.5 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

## 5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

5.1 შესყიდვის ობიექტის, 15000 ლიტრი „პრემიუმი" (საერთო ღირებულებით 31200,00 ლარი) და 1000 ლიტრი „ევროდიზელის" (საერთო ღირებულებით 2050,00 ლარი) მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად პლასტიკური ბარათებით ან/და ტალონური სისტემით, მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურების ქსელის მეშვეობით.
5.2 საქონლის ფასი შეიცავს ყველა ხარჯს, რაც დაკავშირებულია მის მიწოდებასთან, მათ შორის, ტალონების დამზადებისა და საწვავის შენახვის ხარჯებს ავტოგასამართი სადგურებიდან მის გაცემამდე.
5.3 საწვავის ტალონების ყოველი პარტიის გადაცემისას ან პლასტიკურ ბარათზე საწვავის ჩატვირთვისას, მიმწოდებელი უზრუნველყოფს შესაბამისი სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერას.

და საგადასახადო ანგარიშფაქტურის გამოწერიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში;

7.4 ანგარიშსწორება ხორციელდება შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე: სპეციალური საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული მიღება-ჩაბარების აქტი.

## 8. მხარეთა უფლებები

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს თანხის დროული გადახდა.

8.2 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. მოითხოვოს ხარისხიანი საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

8.2.2 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

## 9. მხარეთა ვალდებულებები

9.1. **„მიმწოდებელი" ვალდებულია:**

9.1.1 დადგენილ ვადაში 5.1 პუნქტის შესაბამისად გადასცეს „შემსყიდველს" ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.

9.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9.2. **„შემსყიდველი" ვალდებულია:**

9.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

9.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

## 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

## 11. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
12.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

## 13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

## 14. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
14.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 20 მარტის ჩათვლით.

## 16. ხელშეკრულების კონტროლი

16.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი.
16.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლი.
16.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

16.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
16.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

## 17 ხელშეკრულების ენა

17.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

## 18. ხელშეკრულების შეწყვეტა

18.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
ა) საქონლის მოწოდებით.
ბ) მხარეთა შეთანხმებით.
გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## 19. განსაკუთრებული პირობები

19.1. ხელშეკრულება შედგენილია 6 გვერდზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.
19.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

**მხარეთა რეკვიზიტები:**

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო**<br>**მის: ქ. თბილისი, დ. უზნაძის, №52** | **შპს „რომპეტროლ საქართველო"**<br>**მის: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №6;** |
| სახელმწიფო ხაზინა<br>კოდი: 220101222<br>ა/ა 200122900;<br>ს/კ 202051224 | ს/ს ს.ს "საქართველოს ბანკი"<br>ბანკის კოდი 220101502<br>ა/ა 119347600<br>ს/კ 204493002 |
| **მინისტრის მოადგილე**<br>**გიორგი ჩახნაშვილი**<br>---------- | **დირექტორი**<br>**ალექსანდრ ალბინი**<br>---------- |